



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

ბრძანება N 126/2

2024 წლის 09 ივლისი ქ. თბილისი

დრამის, კინო - ტელე და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცხადდეს კონკურსი შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

**დრამის ფაკულტეტი**

**სამსახიობო ხელოვნების მიმართულება:**

1. ასოცირებული პროფესორი /სასცენო მოძრაობა / 1 ს. ე.

2. ასისტენტ-პროფესორი /პანტომიმის თეატრის მსახიობის ოსტატობა/ 1 ს. ე.
3. ასისტენტ-პროფესორი /თოჯინების თეატრის მსახიობის ოსტატობა/ 1 ს. ე.
4. ასისტენტ-პროფესორი /მსახიობის ოსტატობა/ 3 ს. ე.
5. ასისტენტ-პროფესორი /სასცენო მეტყველება/ 1 ს. ე.

**ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულება:**

1. ასისტენტ-პროფესორი /ქართული ცეკვა/ 1 ს. ე.

**სამუსიკო ხელოვნების მიმართულება:**

1. ასისტენტ-პროფესორი /სადირიჟორო/ 1 ს. ე.

### **კინო-ტელე ფაკულტეტი**

**აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით:**

**ტელერეჟისურის მიმართულება:**

1. ასოცირებული პროფესორის 1 ს. ე

### **სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი**

**მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულება (მედიის კვლევების ქვემიმართულება):**

1. პროფესორი - 1 ს. ე.

## კულტურული ტურიზმის მიმართულება:

1. ასოცირებული პროფესორი – 1 ს. ე.

## ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულება:

1. ასოცირებული პროფესორი - 2 ს. ე.

2. ასისტენტ-პროფესორი - 1 ს. ე.

2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის კომისიის პასუხისმგებელ მდივანად დაინიშნოს კადრების და კანცელარიის სამსახურის კადრების მიმართულების კოორდინატორი თამარ ბასიაშვილი.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 11 ივლისიდან.

4. კანდიდატების რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2024 წლის 12 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით.

5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ უნივერსიტეტის web.გვერდი: <http://tafu.edu.ge/> და <http://jobs.ge/>

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კადრების და კანცელარიის სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: 09.07.2024 წლის აკადემიური საბჭოს სხდომის

№ 12 დადგენილება

გიორგი შალუტაშვილი

რექტორი